პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 262 (20003) ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

საჯაროობის დამკვიდრებისათვის

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „ვლადიმირის ოლქის პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების მუშაობა საჯაროობის შესახებ“.

განიხილა რა ვლადიმირის ოლქის პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების მუშაობა საჯაროობის საკითხი, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ოლქში უფრო სტაბილური ხდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ შექმნილი სიმართლისა და გულახდილობის ატმოსფერო. ფართოდება კომუნისტების, ყველა მშრომელის ინფორმირება პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში არსებული საქმის ვითარების შესახებ.

ამასთან ერთად პარტიის ვლადიმირის საოლქო კომიტეტმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს საგრძნობ შედეგებს საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნასა და დემოკრატიზაციაში. ნელა ითვისებენ ახალ, დროის მოთხოვნების შესაბამის მიდგომებს პოლიტიკურ მუშაობაში, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში. საჯაროობა ოლქში ჯერ არ გამხდარა გარდაქმნის, მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემების გადაჭრის პროცესში ადამიანის ფაქტორის გაქტიურების წამყვანი საშუალება.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარება. ყოველმა მეოთხე საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, ყოველმა მესამემ — სახელმეკონომიკურებო მიწოდების გეგმა. მთლიანად ოქქის მრეწველობამ ვერ აღმოფხვრა წლის დამდეგიდან დაშვებული ჩამორჩენა. დამაბაყოფილებლად არ სრულდება სასურსათო პროგრამა. კვლავ მწვავედ დგას ბინის პრობლემა, თუმცა სრულდება ბინათმშენებლობის გეგმები. გათვალისწინებულზე სამჯერ ნაკლები აშენდა საკლუბო დაწესებულებები. მოსახლეობის მასობრივ საყვედურს იწვევს სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე. ოლქი 17 სახეობის საყოფაცხოვრებო ობომსახურების მხრივ ჩამორჩება რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

საოლქო პარტიული ორგანიზაციაში არ მომხდარა არსებითი შემობრუნება შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებაში, უწინარეს ყოვლისა, პლენუმებისა და პარტიული კრებების როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების როლის გაძლიერებაში. ხელმძღვანელ მუშაკთა განთავისუფლებისა და გადანაცვლების საკითხებში საჭირო საჯაროობის არარსებობას სერიოზული ხარვეზები მოჰყვება საკადრო პოლიტიკაში. 1986 წელს ოლქში შეიცვალა თითქმის ყოველი მესამე, მომდინარე წლის ექვს თვეში კი — ყოველი მეხუთე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტის მდივანი. ასევე ხშირად იცვლებიან საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები. საკადრო გადანაცვლებათა უმრავლესობა ხდება მათი გამომწვევი მიზეზების გამოურკვევლად და აღმოუფხვრელად, ადამიანთა ფართო წრესთან მოუთათბირებლად.

ოლქში არსებითად ჯეროვნად ვერ აფასებენ კომუნისტების აღზრდის, საზოგადოების დემოკრატიზაციის ისეთ დიდმნიშვნელოვან საშუალებას, როგორიც არის კონტროლი „ქვემოდან“, მშრომელი ადამიანებისგან მომავალი კონტროლი და, უწინარეს ყოვლისა, მისი ისეთი ეფექტიანი ფორმა, როგორიც ყველა ასარჩევი და დასანიშნი თანამდებობის პირის სისტემატური ანგარიშგებაა შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის წინაშე. ასეთი ანგარიშების რიცხვი ოლქში არათუ არ მატულობს, არამედ ზოგან კლებულობს კიდეც.

საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კვლავ არის ნაკლოვანებათა მიჩქმალვის, მწვავე საკითხების გვერდის ავლის ტენდენცია. ფაქტობრივად არ წარმოებს შეუპოვარი და აშკარა ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და გათანაბრების წინააღმდეგ. მწვავე საჯარო შეფასება არ ეძლევა სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებების ფაქტებს. სოციალიზმისათვის ამ უცხო მოვლენათა აღმოსაფხვრელად არ არიან დარაზმული შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრიობა.

ცალკეული პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები, საბჭოთა ორგანოები არ ჩქარობენ უძრაობის გამოვლინებათა აღმოფხვრას, აკვლევენ სხვისი ხელისშემუშავებასა და ფინიციატივებას, პოლიტიკურ სიყრუეს ადამიანების საჭიროებებისადმი. ამგვარი პრაქტიკა ხშირად წარმოშობს სოციალურ დაძაბულობას, ქმნის საკონფლიქტო სიტუაციებს, უშუალოდ ლახავს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს.

სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს ჯერ კიდევ აკლია ნამდვილი პარტიული კოლექტივიზმი, დიდი პასუხისმგებლობა და ამხანაგური მომთხოვნელობა. ბიუროს ზოგიერთი წევრი პასიურობს გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და განხორციელებისას.

ნელა გარდაიქმნება პრესა. ბევრი რაიონული გაზეთის ფურცლებზე არ არის ადგილებზე საქმის ვითარების კრიტიკული ანალიზი, იშვიათად გამოდიან მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები. პარტიული კომიტეტები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ ჟურნალისტთა კადრებისადმი, არ აძლევენ მათ პრინციპული, გაბედული გამოსვლების, დამოუკიდებელი აზროვნების სტიმულს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ვლადიმირის საოლქო კომიტეტის, მისი ბიუროს, პირველი მდივნის ამხ. რ. ს. ბობოვის ყურადღება მიაპყრო სუსტ მუშაობას ოლქის პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების, მართვის აპარატის საქმიანობის საჯაროობისა და დემოკრატიზაციის დამკვიდრებისათვის.

სკკპ საოლქო კომიტეტი, საოლქო აღმასკომი და საოლქო პროფსაბჭო ვალდებული არიან გამოიყენონ საჯაროობის გაფართოება იმისათვის, რომ გააღრმაონ გარდაქმნა, დააჩქარონ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, ჩაბან მასები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რევოლუციურ განახლებაში. საჯაროობის გაფართოებას უსათუოდ უნდა ახლდეს კოლექტივების, მათი კადრების მუშაობის დონის ამაღლება, ადამიანების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჯაროობა მიაჩნია მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ფორმირების, ცოცხალი შემოქმედების გაღვივების ინსტრუმენტად. ვლადიმირის ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან თანამმდევრულად დაუფლონ დემოკრატიის გაფართოების პირობებში ეკონომიკის მართვის თანამედროვე, მრავალფეროვან მეთოდებს, გამოიყენონ დასახული შესაძლებლობები სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლისას, რათა განუვითარონ ადამიანებს ბატონ-პატრონის გრძნობა, პირადი პასუხისმგებლობა კოლექტივში საქმის ვითარებისათვის. შემოიღონ პარტიული და საბჭოთა ორგანოების პრაქტიკაში გარდაქმნის დროს ხელისუფლების ორგანოების მუ-

(დასასრული მე-2 გვ.)

პარტიული ორგანიზაციები და გარდაქმნა

მეტი გვრგილიანობა, მეტი დემოკრატიზმი, მეტი ორგანიზებულობა და დისციპლინა

რაც უფრო ღრმად, მასშტაბურად შედის საბჭოთა გარდაქმნის გადამწყვეტ ეტაპში, მით უფრო მეტად არის და იქნება დამოკიდებული ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს რევოლუციური განახლების წარმატება ლენინური პარტიის ენერგიაზე, მიზანსწრაფულობაზე, საკუთარი მაგალითის ძალაზე, პარტიისა, რომელიც გახდა გარდაქმნისა ინიციატორი, იკისრა მუშაობის უმძიმესი ტვირთი, პარტიისა, რომელშიც დღეს გაერთიანებულია თითქმის ოცი მილიონი მებრძოლი — ქვეყნის მოსახლეობის მეათედი. უდიდესი ძალაა. მაგრამ პასუხისმგებლობა დიდია.

„პარტიის როლის გაზრდა კანონზომიერი პროცესია, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში. — მაგრამ ყველაზე ასეთი როლი განსაზღვრავს სიტყვებითა თუ ფორმალური რიტუალებით. იგი გამოიხატება ანალიზისა და შეფასებების სიღრმითა და პატიოსნებით, პოლიტიკის გააზრებითა და მოქმედების სიმტკიცით, იმის უნარით, რომ თანაზომადი გავხადოთ კერძო და ზოგადი, პირადი და საზოგადოებრივი, სადისო და სამომავლო. იგი საზოგადოებაში საქმეთა მიმდინარეობისათვის პარტიის ყველა ორგანიზაციისა და თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებით გამოიხატება“.

ამრიგად, პარტიული ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესება დღევანდელობის უპირველესი ამოცანა ხდება. ნამდვილი, ჭეშმარიტად ღრმა და ყოვლისმომცველი გარდაქმნა შეუძლებელია, თუ გადამწყვეტი გარდატეხა არ მოხდა თითოეული პარტორგანიზაციის მუშაობაში. ცხოვრება მოწმობს: იქ, სადაც ეს მოხერხდა, სადაც პარტიულმა ხელმძღვანელებმა, კომუნისტებმა მასებს გაულვიძეს ინიციატივა და დამოუკიდებლობა, მიდიან დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გზით, აძლევენ სარბიელს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმებს, სადაც ზრუნავენ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, საქმე კარგად მიდის.

ამ თვალსაზრისით დამაჯერებელი მაგალითი შეიძლება იყოს ბელორუსიის ბევრი პარტიული ორგანიზაციის ნაყოფიერი შუამავლობა. რესპუბლიკის კომუნისტები მიმართავენ გაბედულ ექსპერიმენტს ეკონომიკაშიც და სოციალურ სფეროშიც. ამასთან, და ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, საქმე ეხება არა ფარულ ვითარებაში და გარეგნული ეფექტისათვის გათვალისწინებულ „ნოვაციებს“, არამედ გეგმაზომიერ, მიზანდასახულ ღონისძიებებს, რომლებიც ეყრდნობა შრომითი კოლექტივების ინიციატივას, გამოცდილებას, ადამიანთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. სწორედ ეს განსაზღვრავს კიდეც წარმატებას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მიენებზე, როგორიც არასოდეს ყოფილა ანმაქმული განსაკუთრებული ნაყოფიერებით, რესპუბლიკა იწევს ისეთ მოსავალს, რომელიც მდიდარ შავმიწანიადაგიან რეგიონებსაც კი შეშურდებათ. თავისთავად მეტყველებს ისეთი ფაქტებიც, როგორიც არის შუდმივი ჯურაღლება ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისადმი, კარგად დაყენებული მომარაგება, ის, რომ არ არის რიგები.

უკეთესობისკენ ბევრი რამ იცვლება ყაზახეთის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაშიც. შეუპოვრად, ნაბიჯნაბიჯ ძლევენ რა უძრაობის დროინდელ დანაშრეკებს, აქ ამავე დროს პოულობენ გზებს და უზრუნველყოფენ წინსვლას, რათა სწრაფად გადაჭრან უმნიშვნელოვანესი სოციალური და იდეოლოგიური პრობლემები. არსებითად სწორედ ასეთი წინსვლა გახდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმების წარმატებული, უპირატესი რეალიზაცია. დასახულია და ხორციელდება რესპუბლიკაში პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებები.

შეიძლება ბევრი ამგვარი მაგალითის მოყვანა. რა თქმა უნდა, აქ დასახელებულ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობაშიც არის ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ძნელი პრობლემა, მაგრამ მნიშვნელოვანია თავად მიდგომა, რომელიც გამორიცხავს ძველის დაბრუნებას, მნიშვნელოვანია მტკიცე პოლიტიკური ნება, გარდაქმნებისადმი მისწრაფება. ეს მიმწრაფება განსაზღვრავს ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ვითარებას მთლიანად ქვეყანაში. პარტიამ შეძლო მნიშვნელოვანწილად გავზარდა ადამიანთა დაინტერესება საზოგადოებრივი საქმეებით, მათი აქტიურობა, აუმაღლებინა მომთხოვნელობა, კრიტიკის, თვითკრიტიკის, საჯაროობის დონე. შექმნილია ნანამდვილი მშრომელთა აზორვნებასა და განწყობილებაში რეალური ცვლილებებისათვის. ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევითის კოლექტივებში მიმდინარეობს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმების დაძაბული ძიება; ადამიანები, უფრო მომთხოვნელი ხდებიან საკუთარი თავისადმიც და ხელმძღვანელების, სპეციალისტებისადმიც, უფრო გაბედულად ილაშქრებენ უყაირათობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, გაგებით ეკიდებიან იმას, რომ საჭიროა გაზარდონ შრომის დისციპლინა, ეფექტიანობა და ხარისხი.

ახლა პარტიული ორგანიზაციებისათვის, კომუნისტებისათვის მთავარია ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითარონ ეს განწყობილება, გაზარდონ განახლების ტემპი და მასშტაბი, უფრო გაბედულად დაძლიონ ბიუროკრატიული დაბრკოლებანი ამ გზაზე. ყოველივე ეს იძენს განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ახლა, გარდაქმნის ახალ ეტაპზე, როცა ერთდროულად უნდა გადაწყდეს დიდი მასშტაბის ამოცანები ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მართვის გარდაქმნაში, იდეოლოგიასა და კულტურაში. უკვე ახლა თავად ცხოვრება კონკრეტული შედეგებით, როგორც მიუკერძოებელი „არასაუწყობო“ კონტროლიორი, შეამოწმებს ჩვენს იდეებსა და გეგმებს, მუშაობისადმი მიდგომასა და მეთოდებს და ეს მკაცრი გამოცდა, სიმწიფის, პასუხისმგებლობისა და მებრძოლურობის ეს ატესტაცია ეხება თითოეულ პარტორგანიზაციასა და თითოეულ პარტიელს.

ამავე დროს არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ მთელ რიგ ქალაქებში, რაიონებში, ოლქებში და ზოგიერთ რესპუბლიკაშიც კი გარდაქმნა ნამდვილად ჯერ კიდევ არ განაღებულა. ეს არის პარტიული კომიტეტების, მათი ხელმძღვანელების პოლიტიკური და ორგანიზაციული მოდუნების, უინიციატივობის შედეგი. არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ გარკვეულად ძლიერდება კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობა, რომლებსაც გარდაქმნა მიაჩნიათ თავიანთი ანგარებიანი ინტერესებისა და სურვილებისადმი მუქარად. არადა, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანებს განვეთავიროთ საწარმოო და საზოგადოებრივი საქმეებისადმი მიდგომაში დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა! რაოდენ ძნელად ძლევენ ზოგიერთი მუშაკი, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკიც, უკვე დიდი ხანია დრომოჭმულ კანონებსა და აკრძალვებს, როგორ უშირს ფორმალიზმისა და ზედმეტი ორგანიზებულობის, საქმის შემფერხებელი ნებისმიერ ინიციატივების ტყვეობისაგან თავის დაღწევა! მიში „ემანდ რამე ცუდი არ მოგვივიდესო“, ჯერ კიდევ ბუდობს ბევრი ადამიანის შეგნებაში, დღემდე განსაზღვრავს მათს გადაწყვეტილებებსა და საქციელს.

და აქ მოელი სიმწვავით კვლავ და კვლავ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყველა ჩვენი კადრი დაეუფლოს სოციალისტური დემოკრატიზმის კულტურას. სწორედ ამ კულტურის ნაკლებობასთან ბევრად არის დაკავშირებული ისეთი ძნელად აღმოსაფხვრელი მანკიერებანი, როგორიც არის ბიუროკრატიზმი და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ჩინმოთნეობა, უყაირათობა და უპასუხისმგებლობა. დემოკრატიის ნამდვილი კულტურა ვერ ურიგდება ვერც მბრძანებლურ „დაძალების“ სტილს, ვერც ორგანიზაციულ გაურკვევლობას, ლაყბობით საქმით შეცვლას.

გარდაქმნის ყველა ძარღვი საბოლოო ანგარიშით თავს იყრის პირველადს პარტორგანიზაციებში, რომლებსაც სამართლიანად ეუწოდება პარტიის საფუძველს, კოლექტივის პოლიტიკურ ბირთვს. გამოცდილება მოწმობს: სწორედ მათს პოლიტიკურ ნებაზე, აქტიურობაზე, შემართებაზე, ინიციატივაზეა დამოკიდებული, უწინარეს ყოველისა, გარდაქმნათა მიმდინარეობა შრომითს კოლექტივებში, უნარი დარაზმონ და შთააგონონ ადამიანებს, მიაღწიონ კონკრეტულ შედეგებს საქმის გაუმჯობესებაში.

ბევრი რამ გაკეთდა განახლების დაწყებითს ეტაპზე. მაგრამ მთავარი სამუშაო წინ არის. და პირდაპირ უნდა ვაღიაროთ: გარდაქმნაზე პარტიული გავლენის, პარტიული ზემოქმედების პოტენციალი ჯერ კიდევ მთელი სიმძლავრით არ ამოქმედებულა. ამ რიგული და გულმოდგინე მუშაობის გაუმჯობესების ხერიოზული იმპულსები უნდა მოგვცეს XIX საკავშირო პარტკონფერენციისათვის მზადებამ და მისმა მოწყობამ. ის გზაზე მნიშვნელოვანი, პასუხსაგები ეტაპი იქნება პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების ანგარიშები გარდაქმნის შესახებ კომუნისტთა პლენუმებსა და კრებებზე, რომლებიც ახლა იწყება. ისინი ნეკლგან უნდა გავხადოთ პარტიის ყველა რგოლის, მათი იმ მზადყოფნის მებრძოლური, მომთხოვნელი დათვალიერება, რომ იარონ მტკიცედ და უყოყმანოდ სკკპ XXVII ყრილობის კურსით, რევოლუციური გარდაქმნების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზით.

წარმატების გასაღები, გამარჯვების პაროლი კი კომუნისტებს დღეს ერთი აქვთ: მეტი გვრგილიანობა, მეტი დემოკრატიზმი და საჯაროობა, მეტი ორგანიზებულობა და დისციპლინა.

ПРАВДА 11 ნოემბრის მოწინავე.

განვავითაროთ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობა

მეზობელი სოციალისტური სახელმწიფოების — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა უნდა განვავითაროთ და განვამტკიცოთ — ეს იყო, ორივე მხარის აზრით, ა. ა. გრომიკოსა და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის, ჩინეთის საზღვარგარეთთან მეგობრობის სახალხო საზოგადოების თავმჯდომარის ჯან ვენძინის საუბრის მთავარი აზრი.

ეს შეხვედრა გაიმართა 10 ნოემბერს კრემლში, სადაც მიიღეს სალაბორატორო ჩინელი სტუმარი, რომელსაც ახლდა სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი იუი ხენლიანი. ჩინეთის დელეგაცია ოქტომბრის დღესასწაულზე ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

მიესალმა რა ჩინელ სტუმრებს, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ საბჭოთა კავშირში მოხარული არიან იხილონ დიდი ოქტომბრის ღირსშესანიშნავ დღეებში პეკინიდან ამის გამო ჩამოსული დელეგაცია. ჩვენს დღესასწაულში ჩინეთის დელეგაციის მონაწილეობის თვით ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჯან ვენძინმა საბჭოთა ხელმძღვანელობასა და საბჭოთა ხალხს მხურვალედ მიულოცა საბჭოთის დიდი . დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი.

ჩინეთის დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის წითელ მოედანზე 7 ნოემბრის პარადმა და დემონსტრაციამ, შემდეგ კი ლენინის ქალაქში— რევოლუციის აკვანში ორი დღის ყოფნამ. ლენინგრადმა, როგორც სტუმარმა განაცხადა, უზარმაზარი წვლილი შეიტანა დიდი ოქტომბრის გამარჯვებაში და გმირობა გამოიჩინა დიდი სამამულო ომის წლებში. იგი აგრეთვე კეთილი სამეგობლის მაგალითად გველინება სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ქალაქი კონცენტრირებულად გამოხატავს საბჭოთა ხალხის წარმატებებს. ოქტომბრის დღესასწაული თქვენი დღესასწაულია. ამავე დროს იგი ჩვენი დღესასწაული, მთელი პროგრესული კაცობრიობის დღესასწაულია, თქვა ჩინელმა სტუმარმა. ჩინეთი ამ დღესასწაულს საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავს. ჩვენს ორ დიდ ქვეყანას დიდი საერთო საზღვარი აქვს. ჩვენი ხალხები ისტორიის მანძილზე მხარს უჭერდნენ ერთმანეთს. ჩინელი ხალხი მეგობრულად არის განწყობილი საბჭოთა ხალხის მიმართ.

ჯან ვენძინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის ქვეყანას სურს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. ასეთი ნორმალიზაცია საერგებლობს მოუტანს ორივე მხარეს, მშვიდობასა და სტაბილურობას. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს ორი ქვეყნის ურთიერთობა უმჯობესდება. განსაკუთრებით კარგად ვითარდება კონტაქტები ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურული, ტურისტული და სპორტული გაცვლის დარგში. ძალ-ღონეს არ იშურებენ ამისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი და ჩინეთის საზღვარგარეთთან მეგობრობის სახალხო საზოგადოება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ძალისხმევას წარმართავს ჩინური სპეციფიკის მქონე სოციალიზმის მშენებლობისათვის. ამ მიმართულებით შემდგომი საქმიანობის პროგრამა მიიღო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამას წინათ გამართულმა XIII ყრილობამ. ჩინეთის ხელმძღვანელობის სახელით ჯან ვენძინმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ იგი მიესალმა ჩინეთის კომპარტიის XIII ყრილობას.

(დასასრული მე-2 გვ.)

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

გუშინ მესამე კვარტალსა და მთლიანად 9 თვეში

მიღწეული წარმატებებისათვის

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსა და ავიამუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. თავდადებით შრომობდნენ ავიამუშაკები. 100,9 პროცენტით შესრულდა მგზავრთბრუნვის, ხოლო 103,9 პროცენტით მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები. გაიგზავნა ზეგეგმითი ტვირთი და ფოსტა, დამუშავდა სასოფლო-სამეურნეო ფართობები.

* * *

ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა შემდინარე წელს გამოუშვა მეორე თაობის რამდენიმე წყალქვეშაფრთიანი თბომავალი „კოლხეთი“, რომლებიც უცხოეთში გაიყიდა. ახლა „კოლხეთი“ ცისფერ ბილიკებს სერავს

იტალიასა და ესპანეთში

ქარხნის კოლექტივს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ეს დროშა მეორე კვარტალშიც ამ საწარმომ დაიმსახურა.



ეს ახალგაზრდა კაცი ჟინვალპესის მშენებლობის სამმართველოს პირველი უბნის სამუშაოთა მწარმოებელია. მისი ხელმძღვანელობით აქ უდეფექტოდ სრულდება შენობის შიდა მოპირკეთების სამუშაოები. დიახ, სანაქებოდ უძღვება კომუნისტი ვაჟა მეტრეველი მინდობილ საქმეს და ამხანაგების საყოველთაო აღიარებაც აქვს მოპოვებული.

მისი შრომითი გზა დომიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში დაიწყო. აქ ვაჟა კარგი ხარატი დადგა და შემდეგ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმშიც კი ისწავლა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, იგი მოწოდებით მშენებელი ყოფილა. ამიტომაც დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და თავისი ადგილი ნახა ცხოვრებაში.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

10 ნოემბერს გამართულ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. აღინიშნა, რომ გეგმის პროექტში გათვალისწინებული დავალებანი ძირითადად უზრუნველყოფენ შრომითი კოლექტივების მიერ პირველი რიგის საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და თავიანთი გეგმების დამოუკიდებელ შესრულებას, ქმნიან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადასვლის პირობებს. ამავე დროს აღინიშნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებენ სამეურნეალო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას ხუთწლედის დავალებებით განსაზღვრულ დონემდე. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა გამოძებნოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივი დანერგვის, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე სახალხო-სამეურნეო კომპლექსების განვითარების ტემპის დაჩქარების რეზერვები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა დახვწოს 1988 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით და შეიტანოს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

განიხილა რა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ იგი იყო XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი, ხელი შეუწყო შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას, აზრთა საქმიანი გაზიარების, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნას. კრებებმა გამოავლინეს ის, რომ პარტიის ძირეული რგოლები დიდად არიან დაინტერესებული შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებით, მეურნეობრობის პროგრესული ფორმების დანერგვით, საქმის ვითარებისათვის კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის ზრდით. ამავე დროს მათ ცხადყვეს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ პარტორგანიზაციაში ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ პარტიული მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნისა და განახლების პროცესებისაკენ მტკიცე შემობრუნებისათვის, ყველგან არ გამხდარა ცხოვრების ნორმად ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საჯაროობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ საფუძვლიანად გააანალიზონ ანგარიმგება-არჩევნების შედეგები, დაამკვიდრონ და ფართოდ გამოიყენონ შემდგომ მუშაობაში კრებების მოწყობის შეძენილი გამოცდილება, განაორიციელონ კომუნისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების დროული და სრული რეალიზაცია გადაუდებელი ღონისძიებანი.

„შრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და დაამტკიცა მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის „ეფექტიანობის, ხარისხის პრაქტიკული უკუგების განუხრელი ამაღლების ღონისძიებანი. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა გაზარდონ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების როლი მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის, მაღალი მორალური თვისებების, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების ჩამოყალიბებაში, ამასთან განსაკუთრებული უურადღება დაუთმონ იმას, რომ ისინი ეუფლებოდნენ მართვის ეკონომიკურ მეთოდებს სრული სამეურნეო ანგარიშის, საზოგადოებრივი და საწარმოო ცხოვრების დემოკრატიზაციის, სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების პირობებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა გ. დ. ზგელაძის ინფორმაცია მეურნეობრიობის ახალ პირობებზე სოსტემის საწარმოოთა გადაყვანისათვის რესპუბლიკის სახაგრომრეწვის მზადყოფნის შესახებ. აღინიშნა, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ეს მუშაობა ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXVII ყრილობის მითითებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნებს. კომიტეტის სტრუქტურული ქვეგანყოფილებები სუსტ გაკვლენას ახდენენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, მცირერენტაბელური და ზარალიანი მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებაზე, ყოველთვის სწორად არ იყენებენ არსებულ ფინანსურ რესურსებს მეურნეობრობის ეკონომიკური პირობების გათანაბრებისათვის. ჭიანურდება რესპუბლიკის სხვადასხვა ზონის მეურნეობათა მომზადებისა და თვითდაფინანსებასა და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონის

საჯაროობის დამკვიდრებისათვის

(დასასრული)

შაობის ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის მუდმივი შესწავლა და გათვალისწინება შედეგები ფართოდ გამოქვეყნონ და უსათუოდ გაითვალისწინონ მართვის საქმეში, საკადრო პოლიტიკაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჯაროობა მიიჩნია იმის უმნიშვნელოვანეს წანამძღვრად, რომ ფართოდ ჩაებან მოქალაქენი მართვაში, კოლექტიურად გაანალიზონ საქმის მდგომარეობა ადგილებზე, უზრუნველყონ ხელისუფლების მართვის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა შეპუშავების, მიღებისა და განხორციელების მთელი პროცესის მაქსიმალური დემოკრატიზაცია.

საჯაროობა, კრიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს როგორც დამუშავების მექანიზმის საბოლოო მოშლას, ბიუროკრატიზმის, უწყებრიობის და კუთხურობის, დოგმატური აზროვნების სტერეოტიპების, ჯგუფობრიობის აღმოფხვრას, ისე ყოველივე პროგრესულის, სოციალისტური ეკონომიკის, იდეოლოგიისა და მორალის ყოველმხრივ ზხარდაჭერას.

დემოკრატიზმისა და საჯაროობის ატმოსფეროს დამყარება, ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, მოითხოვს პარტიული მუშაობის სტილის სრულყოფას, შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებას.

პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერების, საჯაროობის პოლიტიკის დამკვიდრებაში კომუნისტების ავანგარდული როლის უზრუნველყოფის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ ცლადიმირის საოლქო კომიტეტს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ოლქის პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა:

სრულყოფ კონფერენციებ ი ს, პლენუმების, ბიუროს სხდომების, პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკა; შეუქმნან შესაბამისი არჩევითი ორგანოების წევრებს პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებში საქმიანი ბონაწილეობის პირობები, გაზარდონ პარტიული აქტივის, თითოეული კომუნისტის როლი და პასუხისმგებლობა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების, მათი საქმიანობის გარდაქმნის საკითხთა გადაწყვეტაში, ქალაქების, რაიონების, შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში;

პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახისათვის ბრძოლაში საქმით უზრუნველყონ შრომითი კოლექტივის ფართო მონაწილეობა პარტიული შევსების ფორმირებაში, უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელების საჯარო ანგარიშები საწყისდები მოვალეობათა შესრულების შესახებ, მიაღწიონ იმის, რომ ეს ანგარიშები სამაგალითო იყოს დიდი მომთხოვნელობითა და პარტიული პრინციპულობით;

კადრებთან მუშაობაში უფრო გაბედულად გამოიყენონ ისეთი დემოკრატიული მეთოდები, როგორიც არის საკონკურსო საწყისები, არჩევითობა, ატესტაცია, რეზერვის ღია ფორმირება, ყოველმხრივ განიხილონ კოლექტივებში გამართულ პარტიულ კრებებზე იმ პირების საქმიანი და მორალური თვისებები, რომლებსაც ხელმძღვანელად მუშაობის რეკომენდაცია ეძლევათ;

საკადრისი პასუხი გასცენ ცდებს, რომ დემოკრატიის გაფართოება გამოიყენონ ექსტრემისტული განწყობილების პროპაგანდის, დისციპლინის შესუსტების, კადრების დევნისათვის;

უზრუნველყონ პარტიული ინფორმაციის ობიექტურობა, აღკვეთონ არსებული სინამდვილის შელამაზების, პარტიული და საზოგადოებრივი პრაქტიკის ნაკლოვანებებისა და შეცდომების დამალვის ყოველგვარი ცდა.

დამკვიდრდ მოქმედების საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა როგორც პარტიის, მთელი საბჭოთა საზოგადოების ჯანსაღი განვითარების პირობები და ნიადაგ გაითვალისწინონ, რომ მათ არარსებობას გარდუვალად ბოჰყვება პასიურობისა და უპასუხისმგებლობის მომძლავრება, პოლიტიკური ყოყოჩობეს გამოვლინებანი, ზნეობრივი გადაგვარება, იქმნება პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის, სოციალური სამართლიანობის დარღვევების წინამძღვრები, წარმოიშობა ისეთი მახინჯი მოვლენები, როგორიც არის უპრინციპობა, ანონიმური წერილები და ცილისწამება.

საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოებას, ნათქვამია დადგენილებაში, უნდა მოჰყვეს საზოგადოების მთელი შემოქმედებითი, აღმშენებლობითი ძალების გაერთიანება იმ ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების წარმატებული განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის სტრატეგიული მითითებებით განსაზღვრა.

საჭიროა გაბედულად წინააღმდეგეთ იმათ, ვინც ლამობს საჯაროობის, გულახდილობის ვითარება სოციალური ღემაგოგიისა და თავისი ვიწროანგარებითი მიზნების მიღწევისათვის გამოიყენოს საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ. დემოკრატიის შესახებ დამახინჯებულ წარმოდგენებს უნდა ვებრძოლოთ მისი ბთავარი იარაღით — საჯაროობით, ჩვენთვის უცხო შეხედულებებისა და მათი მატარებლების საქვეყნო კრიტიკით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ ეფექტიანად მოქმედი საჯაროობის სისტემა ცენტრში და ადგილებზე იქნება საზოგადოების წარმატებული რევოლუციური განახლებისა და იმის უმნიშვნელოვანესი გარანტია, რომ გარდაქმნის პროცესში ჩაებმება მილიონობით საბჭოთა ადამიანი, თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი, დიდი ოქტომბრის საქმის მემკვიდრე.

აგრომრეწვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

ბორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში ახლა ეკონომიკის მდგომარეობის და ბოლო ხანს ჩამოყალიბებული სამეურნეო ცხოვრების სტილის გათვალისწინებით დგება იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებიც თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდნენ. მათგან ზოგი ახლავე მზად არის ახალ პირობებში სამუშაოდ, ზოგს კი, რომლებსაც წლიდან წლამდე ზარალისათვის თავი ვერ დაუღწევიათ, გაკოტრების საფრთხე ექმნება.

ამ მხრივ იმედიანად გამოიყურება კარალეთის საბჭოთა მეურნეობა. მას თავისი ეკონომიკური პოტენციალი თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების გარანტიას აძლევს. აქ ეს პერსპექტივა, უმთავრესად, სამეურნეო ინგარიშის, კოლექტიური იჯარის დანერგვის წყალობით გამოიკვეთა.

კარალეთელები უკვე მეცხრე თვეა ამ ახალი მეთოდის მომარჯვებით პოზიტიურ ცვლილებებს ადგენენ მეურნეობის ცხოვრებაში. კაცდღეების გამომუშავებამ ერთ თვეში საშუალოდ 3.340-ით მოიმატა, ზრდის შესამჩნევი ტენდენცია დაეტყო შრომის ანაზღაურებასაც. არამწარმოებლური ხარჯები შემცირდა 16 ათასი მანეთით, ხელფასის ფონდის ეკონომიამ 100 ათასი მანეთი შეადგინა, დაიზოგა 44 ტონა საწვავი.

მატერიალური რესურსების მოგჭირნე ხარჯას ხელი შეუწყო დანახარჯების კონტროლმ, საჩეკო სისტემის, უფრო სწორად, თვითკონტროლის გამოყენებამ, მაგრამ ყაირათიანი მეურნეობრიობის თავიდათავი მაინც ის არის, რომ იჯარამ ერთმანეთს შეუხამა მეურნეობისა და მუშების ინტერესები. მიწათმოქმედმა და მეცხოველემ ახლა იცოდნ, რომ დანაზოგი სახსრების ნაწილი მათია. ამის გამო ისინი სულ სხვა განწყობით ეკიდებიან საქმეს, ცხოვრებას სხვა თვალით უყურებენ; გეგმების შესრულებითაც მეტად დაინტერესდნენ, რადგან მეურნეობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ზეგეგმითი პროდუქციის 30 პროცენტი მათ ეკუთვნით.

ამ ანგარიშით იჯარული ბრიგადები მარცვლეულის, ბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების წარმატებული რეალიზაციისათვის სოლიდურ ანაზღაურებას იღებენ. უფრო მეტ გასამრჯელოს მოელიან ხეხილის ბაღებიდან, სადაც სამუშაოები თავის დროზე, უზადოდ შესასრულეს და მოსავალსაც გულმოდგინედ აბინავებენ.

— ღღესაც, როგორც ყოველთვის წლის დამდეგიდან, მეხილეები სამუშაოზე უკლებლივ გამოვიდნენ, — გვითხრა ბრიგადირმა გერონტი ნაცვლიშვილმა, — რამდენ ხილსაც შარშან სამი ბრიგადა ერთ დღეში კრეფდა, იმდენს ახლა ერთი ბრიგადა კრეფს. ხანგამოშვებით, ალბათ, ერთ-ორ კვირაში ბოლო ბაღიც ამოვიკრეფ. ეს ბაღი ბოლოს ბაღებზე ადრე ყვავილობს, ბოლოს ბაღებზე ადრე ამოიყვავილებ. ეს ბაღი

განვავითაროთ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობა

(დასასრული)

სტუმარმა ჩინელი ხალხის სახელით წარმატებები უსურვა საბჭოთა ადამიანებს თავიანთ მუშაობაში გარდაქმნისათვის. მან განაცხადა, რომ, როგორც მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენელს, თავისი მისიის ამოცანად მიაჩნია დათესოს მეგობრობის თესლი, ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას და მისი განვითარების გზაზე ერთულელების აღმოფხვრას. ამ ურთიერთობის საფუძველია მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი.

ჯან ვენძინის ნათქვამის პასუხად ა. ა. გრომიკომ განაცხადა: სტუმრის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენი სამოცდაათი წლის იუბილე არა მარტო ჩვენი დღესასწაული, არამედ ჩინეთის დღესასწაულიცაა, საუკეთესო შეფასებას იმსახურებს. მართლაც, დიდი ოქტომბრის შემდეგ მსოფლიო სხვაგვარი გახდა. იშვა ახალი საზოგადოება, რომელიც მთელი განვლილი პერიოდის მანძილზე ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შეეხო კრემლში გამართულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების ძირითად დებულებებს. ამ მოხსენებაში სრული სიმართლით არის მეცნიერულად შეფასებული საბჭოთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპი და ჟულამდილად არის გაშუქებული ქვეყნისა და მსოფლიოს ახლანდელი ვითარება, გრანდიოზული ამოცანები, რომლებსაც ლენინური პარტია უსახავს საზმოავლოდ საბჭოთა ხალხს. ამ ამოცანებს შეიცავს ტეზადი და ზუსტი სიტყვა — გარდაქმნა. სწორედ იგია მათი გადაწყვეტის გზა.

სტუმარს ესაუბრნენ საზოგადოების დემოკრატიზაციის შესახებ, თუ როგორ ებმება მილიონნობით ადამიანი ქვეყნის მართვის პროცესში. ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ყველაზე ბოლო მიღწევები. საკმე ეხება არა მარტო რაოდენობრივ ზრდას, არამედ ყველა სფეროს ღრმა თვისებრივ გარდაქმნას.

ისიც ითქვა, რომ უნდა გარდაქმნას თვით ადამიანების აზროვნება. ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა კადრების პრობლემას, თქვა ა. ა. გრომიკომ. მათ უმრავლესობას სურს ფეხი აუწყოს დროს და კიდეც უწყობს. მათ მხარს ვუჭერთ და ვეხმარებით. საჭიროა, რომ ჩვენი კადრები, ყველა საბჭოთა ადამიანი დღეს გუშინდელზე უკეთ მუშაობდეს და ცხოვრობდეს, ხვალ დღევანდელზე უკეთ. გარდაქმნის ამოცანებს საბჭოთა ხალხი გადაწყვეტს, და იგი საესებით არის ამაში დარწმუნებული.

ჩვენ მადლობას ვუხდით ჩინეთის ხელმძღვანელობასა და ჩინელ ხალხს ჩვენი გარდაქმნის პოლიტიკის გაგებისათვის.

ჩვენი მხრივ გაგებით ვეკიდებით თქვენი საშინაო განვითარების პრობლემებსა და ჩინეთის კომპარტიის XIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებაში უკვე არის გარკვეული დადებითი მაჩვენებლები. მაგრამ გზის დიდი ნაწილი გასავლელი გვაქვს. ასე რომ, ორივე მხარემ, ჩემი აზრით, ყველაფერი უნდა იღონოს წინსვლისათვის. რაც შეხება კონტაქტებს სხვადასხვა სფეროში, ისინი უნდა აღვიქვათ არა მარტო ურთიერთობის. დონის მაჩვენებლად, არამედ ამ ურთიერთობის განვითარების საშუალებადაც.

არსებითად ჩვენი ქვეყნები — სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — ერთ გზას ადგანან მშვიდობისათვის, ბრძოლის დარგშიც. ამას მოწმობს ჩინეთის მხარის განცხადებაც. მაგრამ ამ მიმართულებით თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობანი არ ამოწურულა, ალბათ, ამაში დამეთანხმებით.

ა. ა. გრომიკო შეეხო საბჭოთა კავშირის მიერ ვლადივოსტოკში წამოყენებულ წინადადებებს, რომელთა მიზანია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში უშიშროების სისტემის შექმნა. ეს უდიდესი მნიშვნელობის პრობლემაა, რომლის გადაჭრისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირი აგრეთვე მზად არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობა ააგოს და განავითაროს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

ჯან ვენძინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის წინაშე დასახულია სოციალისტური მშენებლობის ამოცანა. ჩინეთში იგი მიმდინარეობს რეფორმის ნიშნით, საბჭოთა კავშირში ეს არის გარდაქმნის კურსი. სასარგებლო იქნება, ამ თვალსაზრისით ერთმანეთის გამოცდილება გაგვეზიარებინა.

იმასთან დაკავშირებით, რომ კრემლის საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა ღრმად გააანალიზა საბჭოთა კავშირის ისტორია და წარმოაჩინა შეცდომები, ჯან ვენძინმა აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაშიც იყო შეცდომები. მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობის წარსულის შეცდომები, ჩინელი სტუმრის აზრით, არ აკნინებს საბჭოთა კავშირის, დიდ სამამულო ომში მისი გამარჯვების, სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებების სიდიადეს.

ჩინეთის კომპარტია აგრეთვე კრიტიკულად ეკიდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარსულის შეცდომებს. წარსულის კრიტიკული გაანალიზება ჩრდილს არ აყენებს არც ჩინეთის კომპარტიას, არც სახელმწიფოს. ეს ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასაც და საბჭოთა კავშირსაც, განაცხადა ჩინელმა სტუმარმა.

ჩვენ შორის არის პრობლემები, თქვა ჯან ვენძინმა, და ვცდილობთ გამოვიმუშავებინთ მათი გადაწყვეტის მეთოდები, აზრთა სხვადასხვაობის დაძლევისა და ურთიერთგაგების გაუჯობესების გზები. ასეთია რეალობა. ახლა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ წინ ერთმანეთის შესახვედრად.

ა. ა. გრომიკომ დასასრულ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეთანხმება ასეთ თვალსაზრისს. ორივე მხარემ კვლავაც უნდა „განავითაროს ურთიერთობა. საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს ამ მიზნის მისაღწევად.

ძმობის მისამართები: ვოლოგდა

დიდი ხნის ოცნება აუხდინეს ვოლოგდელებს ქართველმა გზის მშენებლებმა: დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს 68-კილომეტრიანი მოსაფალებული ტასა, რომელმაც სოლქო ცენტრი მეჟდურეჩენსკის რაიონს დაუკავშირა. მომდინარეობს მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაც.

„... გულითად მადლობას გიხდით საშეფო დახმარებისათვის...“ — ნათქვამია საოლქო კომიტეტის წერილში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო.

— ჭაობიანი ადგილები და ადგილობრივი საშენი მასალის უქონლობა ძალიან გვიძნელებდა მუშაობას, — ამბობს საქართველოს საავტომობილო გზების მშენებლობის სამინისტროს „საქოლოგდაგზამშენის“ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ფირუზ მამუკელაშვილი, — მაგალითად, ჩერეპოვეციდან მეტალურგიული ფიდის ჩამოსატანად სამი სახეობის ტრანსპორტი გვჭირდებოდა — წყდა ჯერ კარჭაპით მოგვქონდა მდინარით, შემდეგ რკინგზით და, ბოლოს, სატვირთო მანქანებით. ღორღს ხომ, საერთოდ, შორეული კირილოვსკის რაიონიდან ვეზიდებოდით. ამას დაემატა გადაუღებელი წვიმები — ნალექების რაოდენობამ ხუთჯერ გადაამეტა წლის ამ დროის ჩვეულებრივ ნორმას. დიახ, ძალიან ძნელ პირობებში მუშაობდნენ ოვიოსაცლელების მძღოლები ვ. არაბაშვილი, დ. პავლიაშვილი, პ. მაყიშვილი, მექანიკატორეები ზ. კვეკაძე, ტ. დარბაიშვილი, გრეიდერისტი გ. გუჯიაშვილი და მათი ამხანაგები, რომლებმაც მაინც უზრუნველყვეს საოქტომბრო დაჩქარება, სახელდობრ კი, დასრულეს არა მარტო გეგმით გათვალისწინებული 7,5 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთის, არამედ მთელი დანარჩენი 13 კილომეტრის გაყვანაც. გზას, რომელიც ოდესღაც გაუვალ ჭაობებზე გადის, ამ მხარის ბევრი მცხოვრები მადლიერებით უწოდებს ქართულ გზას“.

ვოლოგდის ოლქის წარმომადგენელნი ამ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებიან. ისინი შეხვდნენ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს შესაბამისად ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ ოლქებში ედუაჩ ოკრუგის ზონაში აგროსამრეწველო კომპლექსის და სახალხო მეურნეობის მასთან დაკავშირებული დარგების ობიექტების მშენებლობისას საშეფო დახმარების კომპლექსურ პროგრამას.

შეხვედრებისა და საუბრების დროს სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ყველა სპეციალისტს, მუშას, რომლებიც საღირებლებიან ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ ახალმშენებლობები მოხაწილეობდნენ.

სტუმრების თხოვნით რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გამონახეს შეფობის გაფართოების, კერძოდ, საგზაო მშენებლობის, ხიდების, სხვა ობიექტების აგების დროს სამუშაოთა მოცულობის გადაჭარბების დამატებითი შესაძლებლობები.

— ოლქის ხუთ მდინარეს — ეურმანჩას, ვოტჩას, ეუზას, ენგიშასა და ლედენჩას უკვე დაუტოვეს თავიანთი „ავტოგრაფები“ ქართველმა ხიდმშენებლებმა, — თქვა ქორესპონდენტთან საუბრისას პარტიის ჩერეპოვეციის რაკომის პირველმა მდივანმა ნ. მიხეევმა. — ამასთან, მათ მიერ აშენებული ნაგებობები მიმღებმა კომისიებმა „ფრიადზე“ შეაფასეს. ეს ყოველივე მემონტაჟეების ოლეგ გელაშვილისა და გელა ლომიძის, მეამწე გრიგოლ ლეშჩენკოს, მძღოლ ამირან ვეჩეიშვილის, სამშენებლო ოსტატის ედუარდ აკრამოვის, საქართველოს საავტომობილო გზათა მშენებლობის სამინისტროს „ხიდმშენინდუსტრიის“ კომბინატი ვოლოგდის ხიდსაშენებელი უბნის სხვა მუშაკებისა და მათი მეთაურის რომან ტახნამიშვილის მუყაითი, კეთილსინდისიერი შრომის ნაყოფია. გზის გამყვანებმა იკისრეს ხუთწლედის შემხვედრი გეგმა — შეასრულონ 12 მილიონი მანეთის სამუშაოები, მანამდე დასახული 10 მილიონის ნაცვლად.

1979 წლიდან ჩერეპოვეცის რაიონი ახლოგელი გახდა „საქმოთავარწყალშენის“ № 37 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივისთვისაც. ჩერეპოვეცი — მეტალურგებისა და ქიმიკოსების ქალაქი, ჩრდილოეთის მაგნიტოგორსკსაც უწოდებენ. დღეს რაიონის მშრომელებს დასახული აქვთ პასუხსაგები ამოცანა — მათ საგრძნობლად უნდა გაზარდონ ტყის მოსავლიანობა, — ხმადაბლა შემომჩიოდა მალი-მალ.

კარგი საქმე გაკეთდაო, — ამბობდა კმაყოფილებით სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, ახალგაზდა მასწავლებელზე არცთუ ბევრად უფროსი ვაჟი. — წელს რვაწლიანი სკოლაც მოვამთავრეთ და ეს სახლიც. ასეთი ხალისით, მგონი, საკუთარი სახლიც არავის უმენებია. თხოვნა და მეხსიერება არავის დასჭირვებია. აგე, ჩვენმა ქალებმა რა მშვენიერი ფარდაგები დაქსოვეს. მე ასე მესმის: ყველა საკეთე ჯერ მასწავლებელს უნდა მიეცეს, მერე სხვა ყველას, იმიტომ, რომ ჩვენი გოგო-ბიჭების მომავალი, სოფლის განათლება და კულტურა, სულ მთლიანად მასწავლებლზეა დამოკიდებულიო...

მასწავლებელს ბუხრის აღზრდისფრად ატკეცოდა ლოყები. რბილი წაბლისფერი თმა მხრებზე ეფინა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სამკერდე ნიშანი დაბლა ეკიზიბოდა თხელ თეთრ ბლუზას. ოდნავ შემკრთალი ისიც იყო, მაგრამ საქციელდაკარგული არა. ოცდაერთი-ოცდაორი წლის გოგოს კვალობაზე საოცრად დარბაისლურად და შინაგანი ღირსებით ეჭირა თავი და ადვილი წარმოსადგენი იყო, როგორ იდგა საკლასო ოთახში, დაფასთან ათობით ცნობისმოყვარე, მომლოდინე თვალების წინ კაკმბრიობის ციცილზაციის დესპანი, საბჭოთა ხელისუფლების წარმოგზავნილი ჯერაც შუქ-წყალგაუვანელი, ურადიო, უტელევიზორო სოფელში. ...რამდენიმე წლის შემდეგ ის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე თბილისში შემხვდა ერთი აქტივის კრებაზე. მასწავლებელი მოვიკითხე, — რა ქნა, შერჩა სოფელს თუ გამოვეკეცა-მეთქი.

ორი ვაჟისა და ორი ქალის დედა სად უნდა გაიქცესო, — გაეცინა მას და წამოწითლდა.

დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ამ ორი წყვილი ქალ-ვაჟის მამა თავად გახლდათ...

* * *

სოფლის მასწავლებელი. რამდენს იტევს ეს ორი სიტყვა! ჩვენი სასიქადულო წინაპრების — ხალხისთვის კვალში ჩამდგარი რამოდენა ლამქარი იღვწოს საქართველოს მთასა და ბარში, თავდადებით ემსახურება სახალხო განათლებას საშვილიშვილო საქმეს, მოდის და მოანთებს ცოდნის, კულტურის, კაცთმოყვარეობის ჩირაღდანს!

სასკოლო რეფორმა საგანგებოდ მოითხოვს სოფლის სკოლაზე განსაკუთრებულ ზრუნვას. რეფორმით დასახული გარდაქმნები მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ შეეძლებთ მოვიზიდოთ და სოფელში დავამკვიდროთ ახალგაზრდა მასწავლებელი.

აი, ახალგაზდა პედაგოგი სოფელში ჩამოდის. მას არც პროფესიული გამოცდილება აქვს და არც ცხოვრებისეული სიბრძნით არის დამძიმებული. მოიხვეჭს საზელს, ავტორიტეტს? მოიპოვებს ყმაწვილების, მათი მშობლების, კოლეგების ნდობას?

* * *

თავიდანვე გულახდილად უნდა ითქვას, რომ მასწავლებლის ყოფა-ცხოვრებაში მტკივნეული პრობლემები გაცილებით სჭარბობს მოგვარებულს. მაგრამ მოდით, ტრადიციულად მაინც სასიამოვნო ფაქტებით დავიწყოთ.

ბარშან ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე მასწავლებლის სახლი აშენდა და ჩაბარდა. მათ შორის ორი — ახაპინძის რაიონის სოფლებში ივერიასა და ნაქალაქარში, ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში, მცხეთის რაიონის სოფელ მსხალდიდში, ახაშის რაიონის სოფელ თწმში. კაპიტალურად შეკეთდა ქობულეთის სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები. მრავალ მასწავლებელს ურიგოდ გამოეყო სამშენებლო მასალა და მიეცა გრძელვადიანი ხელხი ინდივიდუალური მშენებლობისათვის.

მაგრამ **სოხუმის რაიონში** მასწავლებლისათვის ხელის შეწყობაზე, ჩანს, დიდად არ ზრუნავენ. რა ხანია, აქ მასწავლებლის სახლი აღარ აშენებულა. **ეშერასა და ბესლეთში** ოცეიოდ წლის წინათ აგებული სახლები კი სულ სხვა დანიშნულებით გამოიყენება. აქ ძალიან უჭირთ პედაგოგიათვის სამოსახლო ნაკვეთის გამოყოფაც. თუ სოფლად განაწილებით ჩასულმა მასწავლებელმა აქ დასახლება გადაწყვიტა და ამის თაობაზე განცხადება შეიტანა ადგილობრივ საბჭოში, პასუხს უთუოდ ასეთს მიიღებს: აღნიშნულ სოფელში სამოსახლო მიწის ფონდის უქონლობის გამო თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთო. მაგრამ თუ დიდი ზეალების შემდეგ მაინც მისცეს, ისეთ ნაკვეთს უბოძებენ, კოლმეურნეობას რომ არ უნდა — სოფლისგან კარგა მოშორებით.

თეთრწყაროში (მთის სოფელია თელავის რაიონში) ორი წელია რემონტდება მასწავლებელთა ორი სახლი, მასწავლებლები კი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობენ. ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად თვითონ მასზეა დამოკიდებული. მაგრამ არც მხოლოდ მასზე. — მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებას მთელი სოფელი, ყველა ოჯახი უნდა უწყობდეს ხელს, რადგან ეს უთუოდ სჭირდება ყმაწვილების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდას.

ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლის პრესტიჟისთვის ზრუნვა ლენინური ტრადიციაა. მისი სიტყვები— „სახალხო მასწავლებელი იმ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზეც არსად და არასოდეს მდგარა“ — ეგზემპლარად საპრობლემო გახდა. ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული არაერთი დადგენილება მასწავლებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, მორალური და მატერიალური წახალისების შესახებ.

ვინ როგორ ასრულებს ამ დადგენილებებს, როგორ ცხოვრობს დღეს ჩვენი სოფლის მასწავლებელი? — ამის შესწავლა დაეკვალათ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტებს და რედაქციის სხვა თანამშრომლებს.

ჯაჯარეტა. 1975 წლიდან, როცა მიიღეს სპეციალური კანონი ნარკოტიკებთან ბრძოლის შესახებ, მალაიზიაში 169 კაცი სიკვდილით დასაჯეს, აქედან 51 ჩამოახრჩვეს, იუწყება მალაიზიის პოლიციის ინსპექტორის მოადგილე ჯაფარ აბდულა. იგი გამოვიდა ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე აქ დაწყებულ ორკვირიან კურსებზე, რომლებშიც მონაწილეობენ ბრუნეის, ინდონეზიის, ტაილანდის, ფილიპინების, სინგაპურის, ნეპალისა და შრი-ლანკის წარმომადგენლები. ჯაფარ აბდულმა აღნიშნა დასავლეთ სამყაროში „თეთრი სიკვდილით“ მზარდი ვაჭრობის სერიოზული შედეგები, მოუწოდა დაუყოვნებლივ „ეომუშაონ ღონისძიებები ამ მწვავე პრობლემის გადასაწყვეტად.

ბოლო თორმეტ წელიწადში მალაიზიაში ნარკოტიკების შენახვასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ბრალდებით დაპატიმრეს ოკრეთვე 982 უცხოელი, აქედან 11 სიკვდილით დასაჯეს.

მეცნიერება

აღმოაჩინეს პირველი პლანეტა?

ლონდონი. ამერიკელი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათ აღმოაჩინეს პირველი პლანეტა მზის სისტემის ფარგლებს გარეთ. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, კალიფორნიისა და ჰავაის უნივერსიტეტების ასტრონომთა მიერ მოწყობილი კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ჰიკლის 29-38 თეთრი ვარსკვლავის მახლობლად, რომელიც მზის სისტემიდან 47 სინათლის წლის მანძილზეა, ხოლო დედამიწიდან 435 ტრილიონ კილომეტრზე მდებარეობს, ბრუნავს იუპიტერზე ცოტა მეტი ზომის კოსმოსური ობიექტი. მეცნიერები აგრეთვე ვარაუდობენ, რომ მისი ზედაპირის ტემპერატურა ორჯერ აღემატება ვენერას ნიადაგის ტემპერატურას.

ულტიმატუმი

საკრებული იუწყება
11 ნოემბერი

◆ საფრანგეთი

მოწოდება მშვიდობის მომხრეებისადმი

პარიზი. საფრანგეთის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ცნობილმა ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციამ „ასის მოწოდებამ“ გამოიჩინა ინიციატივა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრა აღნიშნონ განიარაღების მხარდამჭერი მასობრივი მანიფესტაციით.

აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ეს ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების დადება საშუალო და ნაკლები სიმორის ბირთვული რაკეტების მოსპობის შესახებ უპრეცედენტო მოვლენა იქნება. იგი ახალ საერთაშორისო ატმოსფეროს ჩამოაყალიბებს. ეს ერთ-ერთი ეტაპია ბირთვული იარაღის სრული აკრძალვისა და ლიკვიდაციისაკენ.

ორგანიზაციის საფრანგეთის მშვიდობის მომხრეებს „მოუწოდებს უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის დაწყების დღეს შეიკრიბონ პარიზში ნოტრდამის ტაძრის წინ და მონაწილეობა მიიღონ მანიფესტაციაში, რათა მხარი დაუჭირონ განიარაღებას, ამ პროცესში საფრანგეთის მონაწილეობას, უბირთვო პლანეტისათვის ძალისხმევას.

ვაშინგტონის მორიგი მანევრი

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა სიტყვა წარმოთქვა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე, სადაც დისკუსიის შთავარი თემაა ცენტრალურ ამერიკაში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემა.

მართალია, ამერიკის პრეზიდენტმა „საიმედო ნიშანი“ უწოდა ნიკარაგუის მთავრობის გადაწყვეტილებას შუამავლის — კარდინალ ობანდო — ი —ბრავოს მეშვეობით გადადგას ნაბიჯი სანდინისტურ სახალხო არმიასა და კონტრასის შეიარაღებულ დაჯგუფებათა შორის ცეცხლის შესაწყვეტად, მაგრამ მთლიანად მისი გამოსვლა წინანდებურად მოწმობს ვაშინგტონის კურსს — დაამხოს სანდინისტური სახალხო ხელისუფლება. კერძოდ, რეიგანმა ლამის ულტიმატუმური ფორმით ნიკარაგუის მთავრობას მოსთხოვა პირდაპირი მოლაპარაკება გამართოს „თავისუფლებისათვის მებრძოლებთან“, როგორც იგი ყოფილ სომოსელ ერთვნულ გვარდიელთა ბანდებს უწოდებს. ცნობილია, რომ ეს ბანდები, რომლებსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აკოწიწებს და აფინანსებს, ყოველდღიურად სისხლიან დანაშაულს სჩადიან ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ.

ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ნიკარაგუის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს კონტრასის თავკაცებთან ან შეერთებულ შტატებთან პოლიტიკური მოლაპარაკების შესაძლებლობას, რომლის დროსაც აღიარებდა ხელისუფლების საკითხი. ამასთან ნიკარაგუა განუხრელად ასრულებს გვატემალის მორიგებას. ქვეყანაში შექმნილია ეროვნული შერიგების კომისია, დაწყებულია პოლიტიკური მოლაპარაკებანი ოპოზიციასთან, ნიკარაგუაში დაბრუნების ნება დაერთოთ რელიგიურ მოღვაწეებს, რომლებიც რევოლუციის წინააღმდეგ გამოდიან და ა. შ.

უარყო რა საყოველთაოდ ცნობილი ეს ფაქტები, რეიგანი თავის გამოსვლაში ამტკიცებდა, თითქოს ნიკარაგუა გვატემალის მორიგებას არღვევდეს.

ვაშინგტონის ახალ მანევრს ლათინურამერიკელებმა უწოდეს ომის კიდევ ერთი ცდა, რომ დაარღვიოს ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მიერ მიღწეული ერთიანობა ამ რეგიონში მშვიდობის დამყარების პრობლემისადმი მიდგომის საკითხში.

მხატვრის კომენტარი

მშვიდობისმყოფლის როლში.
გ. ლომიძის ნახატი.

◆ იაპონია

პირჩიეს პრემიერი

ტოკიო. დამთავრდა იაპონიის პარლამენტის ექვსდღიანი რიგგარეშე სესია. სესიაზე მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ნობორუ ტაკეშიტა აირჩიეს ქვეყნის ახალ პრემიერ-ministრად. სესიის მუშაობის დროს აგრეთვე ჩამოაყალიბეს ლიბერალ-დემოკრატთა მორიგი ერთპარტი ული თავმჯდომარეობა.

◆ ნიგერია

ახალი დანიშვნა

პარიზი. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, აქ 56 წლისა მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა უმაღლესი სამხედრო სასჯელის თავმჯდომარე, ნიგერის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური სეინი კუნნე.

უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემასრულებლად დაინიშნა ნიგერის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ალი საიბუ. ეს გადაწყვეტილება მიიღეს უმაღლესი სამხედრო საბჭოს სასწრაფო თათბირზე.

◆ მალაიზია

ჩამოახრჩვეს ნარკოტიკებით მოვაჭრენი

ჯაჯარტა. 1975 წლიდან, როცა მიიღეს სპეციალური კანონი ნარკოტიკებთან ბრძოლის შესახებ, მალაიზიაში 169 კაცი სიკვდილით დასაჯეს, აქედან 51 ჩამოახრჩვეს, იუწყება მალაიზიის პოლიციის ინსპექტორის მოადგილე ჯაფარ აბდულა. იგი გამოვიდა ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე აქ დაწყებულ ორკვირიან კურსებზე, რომლებშიც მონაწილეობენ ბრუნეის, ინდონეზიის, ტაილანდის, ფილიპინების, სინგაპურის, ნეპალისა და შრი-ლანკის წარმომადგენლები. ჯაფარ აბდულმა აღნიშნა დასავლეთ სამყაროში „თეთრი სიკვდილით“ მზარდი ვაჭრობის სერიოზული შედეგები, მოუწოდა დაუყოვნებლივ „ეომუშაონ ღონისძიებები ამ მწვავე პრობლემის გადასაწყვეტად.

ბოლო თორმეტ წელიწადში მალაიზიაში ნარკოტიკების შენახვასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ბრალდებით დაპატიმრეს ოკრეთვე 982 უცხოელი, აქედან 11 სიკვდილით დასაჯეს.

ქართული გზა

როგორ ცხოვრობ, მასწავლებელო?

საჩუქარი ფრანგი კომუნისტის არქივიდან



ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის საიუბილეოდ უნიკალური საჩუქარი მიიღო საფრანგეთიდან: მის ექსპოზიციას შეემატა ლაიფციგში 1900 წელს დაბეჭდილი ლენინური „ისკრის“ პირველი ნომერი (ადრეთვე მე-4-9 ნომრები), ჟენევაში 1905 წელს გამოცემული გაზეთ „პეპერიოდის“ პირველი და მეორე ნომრები, გაზეთ „პროლეტარის“ ასევე პირველი და მეორე ნომრები, 1910 წელს დაბეჭდილი გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ მე-15-16 ნომრები და რსდმპ საზღვარგარეთის ჯგუფების ცენტრალური ბიუროს გამოცემა — 1909 წელს პარიზში დაბეჭდილი ბროშურა „კავკასიის დელეგაციის ანგარიში საერთო-პარტიული კონფერენციის შესახებ“...

სულ ცოტა ხნის წინათ ეს დოკუმენტები პარიზის გარეუბანში, ქალაქ ნანტერში მცხოვრებ კომუნისტს პატრის ბეკიუსს ეკუთვნოდა, რომელმაც ისინი უსასყიდლოდ გამოუგზავნა მუზეუმს. ეს გამოცემები პაპამისის — მარსელ ბეკიუსის პირადი არქივის ერთი ნაწილია.

მარსელ ბეკიუსს — ჰოლონური წარმოშობის ფრანგ კომუნისტს, პარტიული და პოლიტიკური ლიტერატურის მდიდარი პირადი არქივი დარჩა. იგი 1938 წელს გარდაიცვალა და პერ-ლაშეზის სასაფლაოზე განისვენებს. ომის დროს მარსელის არქივი ოკუპირებულ პარიზში ინახებოდა მის ვაჟიშვილთან მარსელ ბეკიუსთან, რომელმაც, თავის მხრივ, იგი შვილს — პატრისს დაუტოვა. და აი, ახლახან ფრანგმა კომუნისტმა ამ უნიკალური კოლექციის ძირითადი ნაწილი დიდი ოქტომბრის იუბილესთან დაკავშირებით მოსკოვის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმისათვის საჩუქრად პარიზში საბჭოთა საელჩოს გადასცა, ხოლო თბილისის მუზეუმმა არქივის ნაწილი უშუალოდ მიიღო — გამოცემები საქართველოში ჩამოიტანა „საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების“ კომიტეტის წევრმა სვეტლანა ელიოტმა, რომელიც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სტუმარი გახლდათ.

— ეს პარტიული რელიკვია ჩვენთვის უძვირფასესი შენაძენია, — გვითხრა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფილიპე მახარაძემ. — პატრის ბეკიუსს უნიკალურმა საჩუქარმა ძალზე გაამდიდრა ჩვენი მუზეუმის ექსპოზიცია.

ნ. ლურსმანაშვილი.

45 წლის შემდეგ

ზუგდიდი, (სპ. კორ.). 1942 წელს, როცა მტერი კავკასიას დაემუქრა, ზუგდიდში ჩამოყალიბდა 242-ე სამთო მსროლელი დივიზია, რომელიც შემდგომ წითელდროშოვანი გახდა და სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო კავკასიიდან ჩეხოსლოვაკიამდე.

და აი, 45 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ქალაქ ზუგდიდში დივიზიის ვეტერანები. ისინი აქ ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, არხანგელსკიდან, გროზნოდან, კრასნოდარი დ ა ნ, ერევნიდან, თბილისიდან... უსაზღვრო იყო ერთმანეთის ხილვით გამოწვეული სიხარული. სმშობლოს ერთგულ დამცველთა მეხსიერებაში აღდგა ის ქარცეცხლიანი დღეები. მათ მოწიწებით მოიგონონეს ომში დაღუპული თანამებრძოლები.

ვეტერანებს ზუგდიდელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის კულტურის სასახლეში ვეტერანებს ქალაქისა და რაიონის საზოგადოებრიობამ და მოსწავლე ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყვეს.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ზელამდა, კაცი შეუუვა ალმართს, გაბრუებული ხმიგის თილისმით.

მიდის, მიათრევს დანჯღრეულ არღანს, თითქო მიაკოდდეს ძველი თბილისი.

შოთა ნიშნიანიძე.

ვ. დემეტრაშვილის ფოტო.

ყაზანური ფერები

ყაზანი საინტერესოდ ჩატარდა ახალგაზრდა მეცხიერთა და სპეციალისტთა საკავშირო სკოლა-ფესტივალი „ფერი და მუსიკა“. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან მიიწვიეს ამ ფესტივალზე ა. სკრიაბინის იდეების მიმდევრები, შუქ-ბგერების ხელოვნების მაძიებლები.

...დადგა დრო ავამენოთ ტაძარი, რომელსაც სძირკველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში ჩვენმა დიდმა წინამორბედებმა ა. სკრიაბინმა, ვ. ჩურლიონისმა და ვ. კანდინსკიმ — ეს იყო სკოლა-ფესტივალის დევიზი.

სკოლა-ფესტივალს ჰქონდა საინტერესო მრავალფეროვანი პროგრამა, სემინარები თემებზე: ხელოვნებათა სინთეზი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, ისტორია და ესთეტიკა, ხელოვნებისა და ტექნიკის სინთეზის ფსიქოლოგია (შომხსენებლები — ცნობილი მეცნიერები ა. ერემეევი, ვ. კაგანი, ლ. სტალოვიჩი, მ. გალეევი და სხვები).

გაიმართა შესანიშნავი საღამოკონცერტები, რომლებიც მიეძღვნა ვ. ჩურლიონისის, ა. სკრიაბინის, ვ. კანდინსკის ხსოვნას. აქვე უჩვენეს მიღწევები, რომლებიც კი საბჭოთა კავშირს აქვს დღესღეობით ამ დარგში. ძირითადად ეს გამოავლინა ვრცელმა გამოფენამ საერთო სახელწოდებით „სივრცე — დრო — ხელოვნება“.

ამ დიდ ფორუმში ჩვენი დედაქალაქის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. გამოფენაში „მუსიკა და ფერწერა“ წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა მხატვრის მზექალა ზერძენიშვილის ციმეტი ნამუშევარი, ხოლო გამოფენაში „ბავშვები ხატავენ მუსიკას“, თბილისის სახავშვო სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნახატები (ხელმძღვანელები — ქ. გოგოლაძე, მ. მეცუნგოა და ზ. კანტარჯიანი).

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

მას შემდეგ, რაც კიევში დაბადების დღე იზეიმა კინოფესტივალმა „ახალგაზრდობამ“ მისი

პრიზები თბილისში

ჩამოდის ყოველწლიურად. ამჯერადაც ასე მოხდა. უკრაინის დედაქალაქში მეთვრამეტედ მოიყარეს თავი მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

ფესტივალის ეიურომ თავისი დიპლომი და ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორის ლარისა შეპიტკოს სახელობის პრიზი რეჟისურისათვის მიანიჭა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის კურსდამთავრებულის ბესო გიორგობიანის ფილმს „ცისადაცისადგვემული“ და „შემოხვევით ნახატი სახე“.

ეიურის დიპლომი ქანრული ძიებისთვის გადაეცა ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ნინო ლაპიაშვილს მუსიკალური ფილმისათვის „დივერტისმენტი ანუ იზოლირებული ბინა კორდებალეტის მსახიობისათვის“. ეს ახალგაზრდა რეჟისორის სადიპლომო ნამუშევარია.

— დარწმუნებული ვართ — თქვა ფესტივალის საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულთათვის პრიზების გადაცემის დროს უკრაინის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ნიკოლოზ მარჩენკომ, — ჩვენი ტრადიციული კინოფესტივალი ტალანტების პირველაღმომჩენი იქნება და იგი დიდ ხელოვნებაში ქართველი ახალგაზრდა ავტორების ბევრ ახალ ნამუშევარს მისცემს ცხოვრების საგზურს.

* * *

დღეს, სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო აფხაზური დრამატული თეატრი მორიგ სეზონს

პრემიერით ხსნის

წარმოდგენილი იქნება შალოდია აჯინჯალის პიესა „4 მარტი“.

გასული თეატრალური სეზონი ა. აგრბას პიესით „მეფე ლეონთან“ დავხურეთ — თქვა თეატრის დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მარიან ფაჩალიამ. იგი თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვ. კოვემ დაფა.

კოლექტივმა თავისი ახალი სპექტაკლი დიდი ოქტომბრის იუბილეს მიუძღვნა. „მეფე ლეონის“ დასადგმელად ქართული თეატრიდან მოვიწვიეთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გოგი ქავთარაძე. პიესა მხატვრულად გაიფორმა დ. დათუკაშვილმა, მუსიკა ეკუთვნის ს. ცინცაძეს. პიესაში ასახულია აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდი.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა მ. ანასაშვილმა.

მოქალაქე, ფეხბურთელი

არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელსაც გულთან არ მიეტანოს გიორგი (გოგი) ანთაძის გარდაცვალების ამბავი. იგი ჩუმად, მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან, ისევე ჩუმად და უხმაუროდ გალია წუთისოფელიც, თუმცა, პოპულარობა და ხალხის სიყვარული არასოდეს მოჰკლებია. გარდაცვალების წინადღეს, ჩვეულებრივ, სამუშაოზე ყოფილა. მის მეგობრებსა და ახლობლებს გვეგონა, რომ ჩვენი გოგი კიდევ დიდხანს გაუწევდა უანგარო სამსახურს ქართულ სპორტს, ქართულ ფეხბურთს, მაგრამ სიკვდილმა ნაადრევად წაგვართვა თვალსაჩინო სპორტსმენი, კეთილშობილი კაცი.

სპორტთან და სპორტსმენებთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ქართველ სპორტსმენთა შესანიშნავ თანამოაზრეებში გოგი ანთაძე თავისებური, გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ეს გამოიხატებოდა საქმის ერთგულებით, ინტელიგენტობით, უსაზღვრო სიკეთით, იუმორის იშვიათი გრძნობით. ახალგაზრდა სპორტსმენების კომაგობით — ყველა იმ თვისებით, რომლებიც ადამიანს ამკობს და ალამაზებს. ამ თვისებებსვე ეძებდა და ხედავდა სხვებში.

გოგი ანთაძეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, დიდ სამამულო ომში მონაწილეობდი, 1948 წელს სკკპ წევრი გახდა. ფართო საზოგადოებრიობამ იგი 1944 წელს გაიცნო, როცა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი გახდა და თვითმყოფადი ნიჭით, თამაშის გამორჩეული ხელწერით იმთავითვე დაგვახსომა თავი. მან შესანიშნავად აუბა მხარი იმ დროს გამორჩენილ ფეხბურთელებს — ბორის პაიჭაძეს, ავთანდილ ღოღობერიძეს, შოთა შავგულიძეს, გრიშა გაგუას, მიხეილ ბერძენიშვილსა და სხვებს, და ამ ჩინებული „დასის“ ღირსეული წევრი გახდა. მისი, როგორც პიროვნების ხასიათი, საფეხბურთო მინდორზეც კარგად ჩანდა — პირველიდან ბოლო წუთამდე დაუცხრომლად იბრძოდა, რომ იტყვიან, შავ სამუშაოს არ ერიდებოდა და ყოველთვის იქ გამორნდებოდა ხოლმე, სადაც ჭირდა. ჩემი თაობის მაყურებელს კარგად ახსოვს გოგი ანთაძის თამაში თბილისის „დინამოში“, საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში.

გოგი ანთაძე მრავალმხრივი პიროვნება იყო. ერთხანს სერიოზულად ფიქრობდა თეატრალურ ინსტიტუტში სწავლაზე, მაგრამ ფეხბურთს ვერ შეელია და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

აღარა გვყავს გოგი ანთაძე — ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი პიონერთაგანი და მოჭირნახულე, ალალ-მართალი და უანგარო კაცი. აუნაზღაურებელია ეს დანაკლისი.

ვ. პარკაძე,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

უძლიერესი გაგრძელება

ბევრი ექსპერტის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, კარპოვმა მაინც გადაწყვიტა მეთერთმეტე გადადებული პარტიის გაგრძელება. შექმნილ პოზიციაში შეიძლებოდა კასპაროვს არასწორი სვლა ჩაეწერა, მაშინ წინააღმდეგობა გაჭიანურდებოდა. მაგრამ როცა მსაჯმა გახსნა დალუქული კონვერტი, გამოირკვა, რომ ჩემპიონმა უძლიერესი გაგრძელება აირჩია. პარტიათა დამთავრება სულ 9 წუთს გაგრძელდა და რასან დიდი მატერიალური ზარალის თავიდან აცილება ალარ შეიძლებოდა, კარპოვი დანებდა.

პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: კარპოვი (თეთრები) — მფe2, კc5, მf1, პb. a2, d5, e4, g2, g5, h4 (9). კასპაროვი (შავები) — მფg7, ეd7, მa5, პb. a7, b5, e5, g6, h7 (8).

პარტია ასე დამთავრდა: 41. ... ეc7 42. კd6 ეc2+ 43. მფd3 ე:a2 44. მe3 მფf7 45. მg4 მc4 46. მ:e5+ მ:e5 47. კ:e5 b4 48. კf6 b3′ 49. e5 ე:g2 50. e6+. მფf8. თეთრები დანებდნენ.

მეთორმეტე პარტიის წინ ანგარიში გახდა 6:5 კასპაროვის სასარგებლოდ.

კასპაროვისა და კარპოვის აზრით

მატჩს მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის ახლა მთელი მსოფლიოს პრესა უდიდეს ყურადღებას უთმობს, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო ის არის, რას ფიქრობენ თვით მონაწილეები.

მიმომხილველების ყურადღება მიიქცია კასპაროვის საკმაოდ მარცხიანმა თამაშმა გათამაშების სტარტზე. ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს მსოფლიო ჩემპიონს ჰკითხეს კიდეც ამის შესახებ.

— საქმე ის არის, რომ მატჩებიც დასაწყისში ვერ ვახერხებ ხოლმე სრული ძალით თამაშს, როგორიც არ გამომდის, ჩემს ნამდვილ შესაძლებლობებს მხოლოდ ფინიშზე ვავლენ ხოლმე.

— მაშინ როგორია გავიგოთ ის ამბავი, რომ შარშან ლენინგრადში ზედიზედ წაგაგეთ მე-17, მე-18 და მე-19 პარტიები?

—ეს იმის გამო მოხდა, რომ მე და ჩემმა სეკუნდატებმა ვერ გამოვნახეთ საერთო ენა.

კასპაროვი გულისხმობს კონფლიქტს მწვრთნელ ევგენი ვლადიმიროვთან, რომელსაც ამ სამი რიგითი დამარცხების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ბანაკის დატოვება მოუხდა.

რაც შეეხება ახლანდელი მატჩის მსვლელობას, კასპაროვი ფიქრობს, რომ მასში მალე შეიტანს გარდატეხას, ორთაბრძოლის საბოლოო შედეგში მას ოდნავაც არ ეპარება ექვი.

ამ დღეებში ზაგრების გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნა საინტერესო საუბარი ანატოლი კარპოვთან, რომელიც ექსჩემპიონის ვილაში შედგა სევილიიდან 15 კილომეტრზე.

გაზეთის კორესპონდენტი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ პრეტენდენტი ძალზე ოპტიმისტურად იყო განწყობილი და ხალისით უპასუხებდა ყველა კითხვაზე.

— ეს შეტად მძაფრი ორთაბრძოლა გახლავთ. პარტიები მწვავედ მიმდინარეობს, მე სისტემატურად ვართულებ თამაშს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პარტიების დიდი რაოდენობა ამა თუ იმ მეტოქის გამარჯვებით მთავრდება. დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებ ამ მატჩს და მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დავიბრუნებ. ასპარეზობა, როგორც ხედავთ, უდიდეს ინტერესს იწვევს. მის ორგანიზატორებს დასაწყისში ერთგვარი ხარვეზები ჰქონდათ, შემდეგ კი შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და ახლა მათ მიმართ სასაყვედურო არაფერი გვეთქმის.

შემდეგ კარპოვმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ გაისად ბევრ შეჯიბრებაში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

ეს ასეა, მაგრამ ვინ იქნება, მაშინ ჩემპიონი და ვინ — ექსჩემპიონი? როგორც მსოფლიო ექსჩემპიონი ბორის სპასკი ფიქრობს (იგი სეკონდანტი პირველი პარტიების კომენტატორი იყო), კარპოვმა უნდა დაიბრუნოს დაკარგული წოდება — კარპოვი ამას წინათ დაოჯახდა, მისი საქმეები მოწესრიგდა. ამჟამად იგი დიდი აღმფრელობით თამაშობს და მოიგებს კიდეც ამ მატჩს.

მარკ ტაიმანოვმა, რომელიც ახლა საბჭოთა ტელევიზიისა და რადიოს კომენტატორია, ინტერვიუ მისცა ლისაბონის გაზეთ „დიარიო დე ნოტიციაშს“.

— მატჩი სევილიაში მეტისმეტად საინტერესოა თუნდაც იმით, რომ აგვერჩევინებს ამ დიდი მოჭადრაკეების განუწყვეტელ სამწლიან ბრძოლას. გულშემატკივრები შეეჩვევნენ იმ ამბავს, რომ ორთაბრძოლა მსოფლიო პირველობაზე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მიმდინარეობდა, ახლა კი ისე მოხდა, რომ ასეთი მძაფრი მატჩები ყოველწლიურად ეწყობა: რა თქმა უნდა, ამჯერად ეჭვედრისადმი ინტერესი იმ გაუგონარმა ამბავმაც გაამძაფრა, რომ 100 პარტიის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი სულ ერთი ქულით იყო წინ. კარპოვს, პირდაპირ ვთქვათ, უკან დასახევი გზა აღარა აქვს. „დღეს ან არასოდეს“ — ასე დგას მისთვის საკითხი. დრო ხომ მხოლოდ კასპაროვის სასარგებლოდ მოქმედებს.

ტაიმანოვი ფიქრობს, რომ კასპაროვი მოიგებს ამ მატჩს. და ძალების შეფარდებას მეტოქეთა შორის ასე აფასებს: 60:40 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. მართალია, სტარტზე კასპაროვს არ უჩვენებია თავისი ნამდვილი მზადყოფნა, მაგრამ მომდევნო შეხვედრებში, ტაიმანოვის აზრით, უნდა გაიუმჯობესოს თამაში. იგი არ დაეთანხმა სპასკის, რომ კასპაროვმა დიდი ენერგია შეალია სხვადასხვა საკითხის მოგვარებას (მაგალითად, „მსოფლიო თასის“ დაწესებას, ფიდეს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესთან პოლემიკას და ა. შ.) და ახლა ძალები გამოელია. ტაიმანოვი ფიქრობს, რომ ასეთი აქტიურობა, საერთოდ, ახასიათებს კასპაროვს და ადრე ამას მისთვის არასოდეს არ შეუშლია ხელი.

ახლა, როცა მატჩმა სევილიაში თავის შუაგულს მიაღწია, სიტუაცია ისევე გაურკვეველია, როგორც ეს ასპარეზობის დასაწყისში იყო. ეკ გარემოება ახლა თითოეულ მომდევნო პარტიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

გ. გამრეკელი.

47-Ე ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ...

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტური მეტად საინტერესო გამოდგა. იოსელიანმა მხედრების რამდენადმე უკეთეს ენდშპილში ხოროვეცთან ღრმა ჩანაფიქრი განახორციელა: მან თითქოს ბედის ანაბარა მიატოვა საკუთარი მეფის ფრთა, ამასობაში გაიჭრა ლაზიერის ფრთაზე და მოიგო. გურიელიდელსონის შეხვედრაში თავისებური წონასწორობა შეიქმნა, რომლის დარღვევა ორივე მხარისათვის სახიფათო იყო — ყაიმი! ახმილოვსკაიამ თეთრებით პასიური პოზიცია მიიღო სახატოვასთან, რომელიც მთელ თავის ძალებს მეტოქის მეფის წინააღმდეგ უყრიდა, რის შედეგადაც ახმილოვსკაია სრულიად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა და წააგო. ეს თბილისელის პირველი დამარცხებაა. ახლა შეჯიბრების ერთადერთი წაუგებელი მონაწილე დარჩა გურიელი. ლიტინსკაიამ შავებით უძლიერესი იერიშით მოუგო სტრუტინსკაიას, გალიამოვამ — ველიხანლის, ჩელუშკინამ — ქასოშვილს, ლელიჩკამ — სემიონოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ სოფიევა-არახამია, შაფრანსკა-მატვეევა, პოლნარიოვა-ზაიცევა. ქასოშვილმა მოუგო მეორე ტურიდან გამოტოვებული პარტია ლელიჩკას.

მეცხრე ტურში არც ერთი პარტია არ გადადებულა. კვლავ ჩინებულად ითამაშა იოსელიანმა. მან შავებით ქასოშვილთან თავისი პოზიციური უპირატესობა თანდათან მატერიალურში გადაზარდა და მოიგო. შეჯიბრების ერთადერთმა დაუმარცხებელმა მონაწილემ — გურიელმა ზედიზედ მეოთხე პარტია დაამთავრა ყაიმით, ამჯერად ხოროვეცთან. გალიამოვამ, შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა, წააგო პარტია ზაიცევასთან. ლიტინსკაიამ მოუგო შაფრანსკას, არახამიამ — პოლნარიოვას, მატვეევამ—სოფიევას, სახატოვამ — სემიონოვას, ველიხანლიმ — ჩელუშკინას, ეიდელსონმა — ახმილოვსკაიას. ლელიჩკა ყაიმზე შეუთანხმდა სტრუტინსკაიას.

9 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს — სამაგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნანა იოსელიანი, რომელმაც 6,5 ქულა დააგროვა. 6-6 ქულა აქვთ ნინო გურიელს, მარტა ლიტინსკაიას და რაისა ეიდელსონს. ბოლო 4 ტურში 3,5 ქულა დააგროვა და საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა ქეთევან არახამიამ. ახლა მას 5 ქულა აქვს.

მოკლედ

ჩიბგზურთი. ჩიკაგოში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების პირველ წრეში თბილელ ლეილა მესხს 62 წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ დაემარცხებინა ელი ჰაკმი (აშშ) — 6:1 6:0, მანვე მოსკოველ სვეტლანა პარხომენკოსთან ერთად წყვილთა შეჯიბრების პირველი შეხვედრაც მოიგო და ახლა ისინი მეორე წრეში ცდიან ძალებს.

სასტენდო სროლა. ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე კიეველმა დმიტრი მონაკოვმა ოქროს მედალი მოიპოვა სასანგრე სტენდზე სროლაში — 217 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ირონ დამენი (გდრ) — 216, მესამეზე — ხარკოველი ალექსანდრე ლავრინენკო — 214 ქულა.

ᲓᲐᲠᲩᲐ 8 ᲛᲐᲢᲩᲘ

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა“ უმასპინძლა ლენჩხუთის „გურიას“, დაამარცხა ანგარიშით 1:0. დააგროვა 42 ქულა და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონის წოდებას მეთერთმეტედ დაეუფლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეხვედრაში „გურიის“ დაცვამ და მეკარე ქანთარიამ შეუპოვრად იბრძოლეს და მატჩის 84-ე წუთამდე დაიცვეს საკუთარი კარი, სპარტაკელმა ჩერენკოვმა სწორედ 84-ე წუთზე შეძლო „გურიის“ კარის აღება. დღესასთვის გათამაშების ცხრილში გუნდების თანამიმდევრობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	29	16	10	3	48-25	42
„დნეპრი“	29	15	8	6	40-20	38
„უალგ.“	30	14	8	8	43-29	36
„დინ.“ მნ	29	12	8	9	31-23	32
„ტორპ.“	29	11	12	6	32-24	32
„შახტ.“	30	10	10	10	29-31	30
„არარატი“	29	13	3	13	31-42	29
„დინ.“ კ.	28	9	10	9	33-25	28
„მეტალ.“	29	10	7	12	23-30	27
„ყაირათი“	29	10	6	13	27-36	26
„ნეფთჩი“	29	8	10	11	31-30	26
„დინ.“ მ	29	8	11	10	25-29	26
„დინ.“ თბ	28	9	6	13	29-37	24
„ზენიტი“	29	7	10	12	24-35	24
ცსკა	**29**	**6**	**11**	**12**	**24-35**	**22**
„გურია“	**29**	**5**	**8**	**16**	**17-36**	**18**

რვა მატჩიც და საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდება. გთავაზობთ ამ შეხვედრათა განრიგს: **12 ნოემბერი.** თბილისის „დინამო“ — კიევის „დინამო“; **14 ნოემბერი.** მოსკოვის „დინამო“ — „ზენიტი“, მოსკოვის „ტორპედო“ — „არარატი“; **15 ნოემბერი.** „დნეპრი“ — მინსკის „დინამო“, ცსკა — „ყაირათი“, „სპარტაკი“ — თბილისის „დინამო“, „მეტალისტი“ — „ნეფთჩი“; **16 ნოემბერი.** კიევის „დინამო“ — „გურია“.

რედაქტორი
ნ. ᲗᲝᲤᲩᲐᲫᲔ

გვჭირდება საიმედო რეზერვი

რეკორტაჟი რესპუბლიკის ავტოინსპექციიდან

რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოში უჩვეულო ხალხმრავლობაა. აქ თავი მოუყრია საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონებიდან ჩამოსულ 186 ახალგაზრდას.

იწყება კონკურსი, რომლის მიზანია რესპუბლიკის ავტოინსპექციის დაკომპლექტება მცოდნე, ღირსეული კადრებით. ეს სიახლეა და იგი გარდაქმნის მთობოვნილებებით არის ნაკარნახევი, რადგან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება წარმოუდგენელია ტრანსპორტის შემდგომი განვითარების, მისი გამართული, შეუფერხებელი მუშაობის გარეშე. ეს კი საავტომობილო გზებსა და გზაჯვარედინებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებას მოითხოვს. ამრიგად, სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო-სატრულო სამსახურის წინაშე ისახება ამოცანა — გადაბალისდეს პირადი შემადგენლობა, მის რიგებში ადგილი დაეთმოს განათლებულ, ყოველმხრივ შომზადებულ მუშაკებს.

მუშაობას იწყებს კომპეტენტური კომისია, რომელშიც შედიან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი ვარლამ შადური, რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ალექსანდრ ბურაკოვი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოსა და პოლიტგანყოფილების, პრესის მუშაკები.

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი გიორგი ცინცაძე კონკურსის მონაწილეებს მიმართავს: ასეთი კონკურსი პირველად გამოცხადდა მთელ საბჭოთა კავშირში, მისი მიზანია ავტოინსპექციის რიგების გაწმენდა უღირსი, შეუფერებელი ადამიანებისაგან. გარანტიას გაძლევთ, რომ კონკურსი სრული ობიექტურობით გაიმართება. ამას მოწმობს თუნდაც ეს ავტორიტეტული კომისია. ისიც უნდა ვთქვა, რომ კონკურსის ზოგიერთი მონაწილე მოკლე გზით ცდილობს ავტოინსპექციის რიგებში შემოღწევას, ავტოინსპექციის ქარი ატალახებული აქვთ პროტექციონერებსა და „კეთილ ძიებს“, მაგრამ ამის იმედი ნურავის ექნება, რადგან ასეთი გზით შემოღწეული ვაჟქვს ყოველ მათგანს, მათ შორის ზოგიერთს ერთი-ორი თვის აღებული. ათკეთხვიანი ბილეთის ამოსახსნელად ეძლევათ თხუთმეტი წუთი.

ისეთი ინტენსიური მოძრაობისას, როცა რთული საკონფლიქტო სიტუაციები ხშირია, ავტოინსპექტორმა ყველაფერი წამებში უნდა გაიაზროს და სწორი გადაწყვეტილების მიღებაც უნდა მოახერხოს, მაგრამ რა გამოირკვა?

უმეტესობამ დამაკმაყოფილებელი ცოდნაც ვერ გამოავლინა, ზოგიერთის პასუხი კი საერთოდ მცდარი იყო.

ათკეთხვიან ბილეთებში შეტანილია ელემენტარული საკითხები, რომლებიც ეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, მშობლიური ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, კულტურას, სპორტს, საერთაშორისო მდგომარეობას. ესე იგი იმას, რაც დღეს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ...

ერთ ყვარელ კონკურსის მონაწილეს კოტე მარჯანიშვილი კომპოზიტორი ჰგონია, მეორეს — საქართველოში გაზრდილ და დაბადებულ ქართველ კაცს (მართალია, რუსული სკოლა აქვს დამთავრებული) აკაკი წერეთელზე არაფერი სმენია.

საინტერესოა შინაგან საქმეთა ორგანოებში და, კერძოდ, ავტოინსპექციაში სამუშაოდ მათთვის მიცემული დახასიათება-რეკომენდაციები. ერთ-ერთი კურიოზული პასუხის ავტორს გორის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა რეკომენდაცია-დახასიათებაში ჩაუწერეს: „სისტემატურად მუშაობს თავის იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად, არის მორალურად მტკიცე და პოლიტიკურად მომზადებულ. ამხანაგი, რისთვისაც გაერთიანებებში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით“ (სტილი დაცულია, ბ. ბ.).

სწორედ ამ კაცს ჰგონია, რომ იაპონია და ამერიკა ევროპის სახელმწიფოებია.

მაგალითების მოყვანას არ გაგაგრძელებთ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ გარდაქმნა მაამებლობისა და ძმაბიჭური დამოკიდებულების აღკვეთასაც მოითხოვს.

სწორედ ასეთი რეკომენდაციებითა და ძმაბიჭობით მიღებული ინსპექტორები უტეხენ სახელს დღეს ავტოინსპექციას.

კონკურსში მხოლოდ თოთხმეტმა გიამარჯვა.

დამაფიქრებელია?

იქ, სადაც პროტექციონიზმი და ანგარება ვერ იბოგინებს და ყველაფერი დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე გაკეთდება, ცხადია, შედეგიც სასურველი გვექნება.

დასკვნა ასეთია: ყველაფერი მართო ავტოინსპექციაზე როდია დამოკიდებული. სად უნდა შეირჩეს რეზერვი? ცხადია, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლთა შორის. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ავტოინსპექციაში სამუშაოდ მოსულთა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთ